ცვლილება ბრძანებაში

შინაარსი

- საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის წესი უეფას ღონისძიებებზე
- დაქირავებულ პირთა რეესტრის წარმოება
- მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება

უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებსა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის წესი

2023 წლის 15 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №209, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილების შედეგად, აღნიშნულ ბრძანებას დაემატა ახლი VII[5] კარი, რომელიც განსაზღვრავს უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებსა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის წესს (სსკ-ის მუხლი 309). შეგახსენებთ, რომ 2023 წლის 29 მაისს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც შეეხო 2023 წლის 21 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით საქართველოში ჩატარებულ უეფას ევროპის 21 წლამდე ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 16 ივნისიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 მაისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

დაქირავებულ პირთა რეესტრის წარმოება

2023 წლის 9 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №202, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა

მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილება განხორციელდა აღნიშნული ბრძანების 11[2] მუხლში, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას დაქირავებულ პირთა რეესტრის შესახებ. ცვლილების შედეგად, აღნიშნულ მუხლს დაემატა ახალი მე-6 ნაწილი, რომლის თანახმადაც, დამქირავებელ საწარმოს აღარ აქვს ვალდებულება და შეუძლია დაქირავებულ პირთა რეესტრში არ ასახოს იმ პირის ინფორმაცია, რომელიც რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ან საგადასახადო აღრიცხვის ერთიან რეესტრში და მინიჭებული აქვს ამ პირის ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობის უფლებამოსილება ან/და წარმოადგენს აღნიშნული პირის მმართველობითი ორგანოს წევრს.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 10 ივნისიდან.

მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება

2023 წლის 26 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №227, რომლითაც ცვლილება შევიდა „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში.

ცვლილება შეეხო აღნიშნული ბრძანების მე-18 მუხლს, რომელიც არეგულირებს მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებას. კერძოდ, პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა განახლებული რედაქციით. ცვლილების შედეგად დამატებით განიმარტა, რომ სტატუსის გაუქმების წელს პირი ვერ შეძლებს მცირე ბიზნესის სტატუსის თავიდან მიღებას, თუ სტატუსის გაუქმებას საფუძველად უდევს შემდეგი: 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეულ კალენდარულ წელში ერთობლივი შემოსავლის გადააჭარბა 500,000 ლარიან ზღვარს.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 27 ივნისიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებებს გადასახადების ადმინისტრირების მიმართულებით.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში. ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.